# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 55

ქ.თბილისი — 9 ივლისი 2017 წელი

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები და შესყიდვის ობიექტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, ს[1] ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად

ერთის მხრივ ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება" (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N103), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ნინო სანადირაძის სახით, (შემდგომში "შემსყიდველი"),

და მეორეს მხრივ,

შპს „ინტერკო თრეველი", წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის თამარ გოგლიძის სახით, (შემდგომში "მიმწოდებელი"),

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას **ავიარეისით მომსახურების შესახებ** გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შემდეგ თანხაზე **1304 (ათასსამასოთხი) ლარი,** შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება".

## 2. ტერმინთა განმარტებები

**2.1.** "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

**2.2.** "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც გააფორმა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

**2.3.** "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, ყველა დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**2.4.** "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

**2.5.** "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 3. ხელშეკრულების საგანი

**3.1.** ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს - **თვითმფრინავით მომსახურება რეისით ფრანქფურტი-სტამბული-თბილისი 15 სექტემბერს და რეისით თბილისი-სტამბული-ფრანქფურტი 18 სექტემბერს** (შემდგომში"მომსახურება"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

**3.2.** შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: **60410000.**

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

**4.1.** შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე.

**4.2.** შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: შესყიდვების მენეჯერი თეიმურაზ გაჩეჩილაძე, პირადი ნომერი 01008049411.

**4.3.** ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ფუნქციებია:

- **4.3.1.** გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების ვადების დაცვას;
- **4.3.2.** დაადგინოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
- **4.3.3.** გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან ან უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

## 5. მომსახურების გაწევის ვადა

**5.1.** მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების გაწევა განახორციელოს 2017 წლის 15 და 18 სექტემბერს.

**5.2.** მოთხოვნა შესაძლებელია განხორციელდეს წერილობით და/ან ელექტრონული ფოსტით.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

**6.1.** მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

**6.2.** მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გაივალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**6.3.** მიღება-ჩაბარების აქტი დგება მომსახურების (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.

**6.4.** მომსახურების მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მომსახურების გაწევის ადგილზე.

**6.5.** მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

**7.1.** ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში.

| "შემსყიდველი" | "მიმწოდებელი" |
|---|---|
| ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება" | შპს „ინტერკო თრეველი" |
| ნინო სანადირაძე | თამარ გოგლიძე |
| გენერალური დირექტორი | დირექტორი |

ქ.თბილისი 9 ივლისი 2017 წელი

**11.3.** ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**12. გამოყენებული სამართალი**

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

**13.1.** ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

**13.2.** დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

**13.3.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

**13.4.** ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

**14. ხელშეკრულების სხვა პირობები**

**14.1.** ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

**14.2.** ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

**15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 1 თებერვლამდე

**16. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები**

"შემსყიდველი"

ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება“

ს/კ: 402 036 998

სახაზინო კოდი-TRESGE22

მიმღების ანგარიში -GE24NB0330100200165022

"მიმწოდებელი"

შპს „ინტერკო თრეველი“

ს/კ 405 036 928

სს „პროკრედიტ ბანკი“

GE21PC 0353 6001 0000 3110

ტელ: 577 46 91 97

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება“

ნინო სანადირაძე
გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს „ინტერკო თრეველი“

თამარ გოგლიძე
დირექტორი